სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

15 / აპრილი / 2024 წ.

KA080176497391324

№ **1158**

განკარგულება

შპს „ბერმუხას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქარელის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT240001780;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბერმუხა“ (ს/ნ: 416294110);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 25 მარტს წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 მარტის №104-104240853 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №2771), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბერმუხას“ (ს/ნ: 416294110) მიერ NAT240001780 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 6 მარტის № 57 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის bughalteri2019@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 27 მარტის № 994 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 2 და 4 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 2 და 3 აპრილის განმარტებები (რეგისტრაციის № 3080 და № 3148) მის მიერ NAT240001780 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 6 მარტის № 57 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მიმწოდებლის მითითებით, იგი ვალდებული იყო არამარტო დროულად შეესრულებინა სამუშაოები, არამედ ხარისხიანადაც, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ მარტის თვის დასაწყისში არ იყო კარგი ამინდი, მან დროულად ვერ დაიწყო სამუშაოების წარმოება, რადგანაც წვიმიან ამინდში შეუძლებელი იყო გარე პერიმეტრზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარისხიანად წარმოება. მიმწოდებლის მითითებით, იგი უახლოეს დღეებში წარმოადგენდა უამინდობის დამადასტურებელ ცნობას. ამასთან, გეგმა-გრაფიკის თანახმად, თავდაპირველად შესასრულებელი სამუშაოებისთვის (სადემონტაჟო სამუშაოები) განსაზღვრული იყო 14 კალენდარული დღე, რომელიც იწურებოდა 2024 წლის 23 მარტს, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ 12 დღის ვადაგადაცილების გამო შეწყვიტა ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისთვის 56 დღე იყო განსაზღვრული. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლო შეეწყვიტა ხელშეკრულება თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, რაც არ მომხდარა. მიმწოდებლის მითითებით, არ არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი და შემსყიდველმა ორგანიზაციამ თავად დაარღვია ხელშეკრულების პირობები. მიმწოდებელმა მიუთითა სასამართლო პრაქტიკასა და ნორმატიულ აქტებზე, აღნიშნა, რომ არ არსებობდა მისი შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვა ზეპირი მოსმენის ჩატარება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 6 მარტს, NAT240001780 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „ბერმუხამ“ (ს/ნ: 416294110) გააფორმეს № 57 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაეწყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით დაესრულებინა. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 48 699,87 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 მაისი.

4.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეეწყვიტა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება სხვადასხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, მათ შორის, ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების (ხელშეკრულების პირობების დარღვევის) შემთხვევაში.

4.3. 2024 წლის 11, 15 და 20 მარტის № 42, № 46 და № 51 სამუშაოს შესრულების ინსპექტირების აქტების მიხედვით, სამუშაოების წარმოება არ იყო დაწყებული.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 12 და 18 მარტის №104-104240723 და №104-1042407890 წერილების მიხედვით, სამუშაოების წარმოება არ იყო დაწყებული. ამავე წერილებით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების დროულად დაწყება და მიეცა გაფრთხილება საჯარიმო სანქციის გამოყენებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.5. ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის 2024 წლის 21 მარტის №09-10424081113 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა არ დაიწყო სამუშაოების წარმოება.

4.6. ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისიის 2024 წლის 22 მარტის № 33 დასკვნის მიხედვით, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სამუშაოების წარმოება არ იყო დაწყებული.

4.7. ქარელის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 22 მარტის №ბ104.104240824 ბრძანებით, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბერმუხა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ, ერთი მხრივ, მიმწოდებელს სააგენტოში არ წარმოუდგენია განმარტებაში დასახელებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, მათ შორის, უამინდობის დამადასტურებელი მტკიცებულება, როგორც ეს განმარტებაში მიუთითა მიმწოდებელმა, ხოლო, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 12 და 18 მარტის №104-104240723 და №104-1042407890 წერილებით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების დროულად დაწყება და მიეცა გაფრთხილება საჯარიმო სანქციის გამოყენებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რაზეც, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მიმწოდებელს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია, მათ შორის, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის არ უცნობებია ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების თაობაზე ან/და არ მოუთხოვია სახელშეკრულებო ვადების კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში). ასევე ყურადსაღებია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა 2024 წლის 22 მარტს, ხოლო მიმწოდებელს ვალდებულებების შესრულება უნდა დაეწყო 2024 წლის 9 მარტს, რის მიუხედავადაც 2024 წლის 22 მარტის მდგომარეობით, სამუშაოები კვლავ არ იყო დაწყებული. ამდენად, ასეთ ვითარებაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არ გამომრიცხავი გარემოება. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ბერმუხა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბერმუხა“ (ს/ნ: 416294110) 2024 წლის 16 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე